ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7917945

ნომერი: AR11141514

თარიღი : 06.05.2026

გაცემის თარიღი : 14.05.2026

გაცნობის თარიღი : 14.05.2026

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, კრწანისის II შესახვევი, N 20ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თენგიზი ესიავა პ/ნ 02001003670
- თბილისი. კრწანისის რაიონი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა # 36

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სავაჭრო ობიექტები
  - მაღაზია

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 06/05/2026 წლის AR11141514 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, N 01.18.06.014.199 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე: მაღაზიის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.
ვინაიდან ს/კ N 01.18.06.014.199 რეგისტრირებულ ნაკვეთზე შეთანმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, გაცემულია ნებართვები და მიმდინარეობს მშენებლობა. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის კი საჭიროა შესაბამისი სრულყოფილი საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა (ეზო, ბავშვთა სათამაშო სივრცე, სპორტული სივრცე, სარეკრეაციო სივრცე, თავშეყრის ადგილი და სხვ.) მოთხოვნილი შენობის მშენებლობის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შემთხვევაში, ტერიტორიაზე საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფისთვის აუცილებელი შესაბამისი ინფრასტრუქტურის (ეზო, ბავშვთა სათამაშო სივრცე, სპორტული სივრცე, სარეკრეაციო სივრცე, თავშეყრის ადგილი და სხვ.) მოწყობის შესაძლებლობა იზღუდება სამშენებლო ტერიტორიის ფართობიდან გამომდინარე.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ვერ დააკმაყოფილებს თქვენს 06/05/2026წლის AR11141514განცხადებას, რომლითაც ითხოვთ რეგისტრირებულ ს/კ N 01.18.06.014.199 მიწის ნაკვეთზე მაღაზიის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.